

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო  
წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს

განმცხადებლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

განმცხადებლის პირადი ნომერი \_\_\_\_\_

განმცხადებელი არის  დევნილი  
 ეკომიგრანტი

განმცხადებლის ფაქტობრივი საცხოვრებელი  
ადგილის მისამართი \_\_\_\_\_

ტელეფონი: \_\_\_\_\_

დამატებითი ტელეფონი (მაგ. ოჯახის წევრის): \_\_\_\_\_

ელ. ფოსტა: \_\_\_\_\_

საწარმოს დასახელება, რომელსაც წარმოადგენს  
განმცხადებელი \_\_\_\_\_

საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდი \_\_\_\_\_

განმცხადებლის თანამდებობა/სტატუსი საწარმოში,  
რომელსაც წარმოადგენს \_\_\_\_\_

წარმოგიდგენთ ბიზნეს გეგმას „ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

ვაცხადებ თანხმობას, ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ბიზნეს გეგმაში მითითებული ინფორმაციის გადამოწმებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მათ შორის, გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია უფლებამოსილი პირებისგან/დაწესებულებებისგან. ამასთანავე, ვადასტურებ, ჩემს მიერ ბიზნეს გეგმაში მითითებული ინფორმაცია ზუსტია და შეესაბამება სიმართლეს.

ვაცხადებ თანხმობას, დაფინანსების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დავასაქმო მინიმუმ ერთი დევნილი ან/და ეკომიგრანტი.

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო,

ტელ.: 032 2 14 02 41 / 032 2 14 02 43; [info@idp.gov.ge](mailto:info@idp.gov.ge); [idp.gov.ge](http://idp.gov.ge)

## ინსტრუქცია

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“ მხარდაჭერით ახორციელებს „ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამას“, რომლის მიხედვით, მეწარმე დევნილს/ეკომიგრანტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მხარდაჭერა 7 500 ლარის ფარგლებში.

**პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია** დევნილს და ეკომიგრანტს, რომელიც არის:

- ინდივიდუალური მეწარმე (შეიძლება ჰქონდეს მცირე ბიზნესის სტატუსიც);
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე;
- შპს-ის ან სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის ან სპს-ის ან კს-ის პარტნიორი (დევნილი ან/და ეკომიგრანტი, ინდივიდუალურად ან ჯამში ასეთი პარტნიორები უნდა ფლობდნენ არანაკლებ 51 პროცენტს წილს/აქციას);
- ბიზნესი რეგისტრირებული აქვს ან პარტნიორად დევნილი/ეკომიგრანტი რეგისტრირებულია 2021 წლის 1 სექტემბრამდე, ბიზნესი არის მოქმედი და არ არის აღრიცხული მოვალეთა რეესტრში და არ აქვს საგადასახადო დავალიანება.

**პროგრამის ფარგლებში, არ ფინანსდება** მეწარმე (განმცხადებელი), რომელსაც მიღებული აქვს დაფინანსება ამავე პროგრამის ფარგლებში.

**პროგრამის სამიზნე არეალია:** სამეგრელო, ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი.

**ბიზნეს გეგმას თან უნდა ერთოდეს:**

1. მეწარმე იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში - მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემთხვევაში - რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან;
2. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;
3. ცნობა სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროდან - ეკონომიკური აგენტის მოვალეთა რეესტრში არყოფნის შესახებ;
4. ეკონომიკური აგენტი ფიზიკური პირის ან ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირის პარტნიორი დევნილის/ეკომიგრანტის პირადობის/პასპორტის ასლი;
5. საწარმოს რამდენიმე პარტნიორის შემთხვევაში, ყველა მათგანის თანხმობა პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. მათი ხელმოწერები უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.
6. ბიზნეს გეგმების მიღების ვადაში გაცემული ინვოისი ყველა იმ ნივთ(ებ)ზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია;
7. საქმიანობის აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შემოსავლების შესახებ ცნობა ან/და ცნობა ბრუნვის შესახებ ან/და დეკლარაცია ან/და ბუღალტრული დოკუმენტაცია, სალარო აპარატის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელიც შეიძლება ჰქონდეს ბოლო 3 წლის მანძილზე;
8. თუ განმცხადებელი ან/და საწარმოს პარტნიორი ან/და ოჯახის წევრი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - ბიზნეს გეგმას თან უნდა დაერთოს შესაბამისი პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დამდგენი დოკუმენტი ან სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოდან აღებული ცნობა;
9. თუ განმცხადებელი ან/და საწარმოს პარტნიორი ან/და ოჯახის წევრი არის მარტოხელა მშობელი - სტატუსის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლ(ებ)ი, თუ მამის მონაცემები არ არის დაფიქსირებული; თუ მამის მონაცემები დაფიქსირებულია შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობაში დედის მითითების საფუძველზე, დაბადების მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა/გადაწყვეტილება მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ.

# ბიზნეს გეგმა

## 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. ბიზნესის სახეობა	
1.2. საქმიანობის ადგილი	
1.3. ბიზნესის რეგისტრაციის ტიპი	<input type="checkbox"/> ინდივიდუალური მეწარმე <input type="checkbox"/> შპს <input type="checkbox"/> სააქციო საზოგადოება <input type="checkbox"/> მიკრო ბიზნესის სტატუსი <input type="checkbox"/> მცირე ბიზნესის სტატუსი <input type="checkbox"/> სხვა _____
1.4. ბიზნესის რეგისტრაციის თარიღი და იურიდიული პირის შემთხვევაში, დევენილის/ეკომიგრანტის პარტნიორად რეგისტრაციის თარიღი	
1.5. იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუთითეთ დევენილის/ეკომიგრანტის წილის/აქციის ოდენობა (პროცენტი)	
1.6. განმცხადებელი ან/და საწარმოს დევენილი/ეკომიგრანტი პარტნიორი ან/და მათი ოჯახის წევრი არის თუ არა შშმ პირი ან/და მარტოხელა მშობელი (კანონმდებლობით დადგენილი წესით)	<input type="checkbox"/> დიახ, შშმ პირი მიუთითეთ ვინაობა (ასეთ შემთხვევაში, უნდა დაურთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია) _____ <input type="checkbox"/> დიახ, მარტოხელა მშობელი მიუთითეთ ვინაობა (ასეთ შემთხვევაში, უნდა დაურთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია) _____ <input type="checkbox"/> არა

## 2. ბიზნესის ისტორია

2.1. აღწერეთ თქვენი სამეწარმეო საქმიანობა, ისტორია, რა პროდუქციას აწარმოებთ/რა მომსახურებას ეწევით.	
2.2. აღწერეთ სეზონურობის ზეგავლენა თქვენს საქმიანობაზე (თუ სეზონურობა ახასიათებს თქვენს ბიზნეს საქმიანობას)	
2.3. ვინ არიან თქვენი ბიზნესის მომხმარებლები? სად ახდენთ თქვენი პროდუქციის/მომსახურების გაყიდვას? (მიუთითეთ ადგილმდებარეობა)	
2.4. გყავთ თუ არა კონკურენტები? ვინ არიან ისინი, იცნობთ თუ არა მათ ფასებს და რა უპირატესობა გაქვთ მათთან შედარებით?	
2.5. მიუთითეთ, ხელის შემშლელი ფაქტორები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს თქვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობა და რას	

მოიმოქმედებთ შეფერხების თავიდან ასაცილებლად/შესამსუბუქებლად.	
--	--

3. ჩამოთვალეთ თქვენს საწარმოში დასაქმებული ძირითადი პერსონალი, მათი როლი/საქმიანობის აღწერა, უნარები, კვალიფიკაცია და გამოცდილება.

პოზიცია	ფუნქცია-მოვალეობების აღწერა	ხელფასის ოდენობა

4. ჩამოთვალეთ ძირითადი აქტივები, რომელიც გააჩნია საწარმოს (მაგ. ტექნიკა-დანადგარები, ბიზნესთან დაკავშირებული უძრავი ქონება და სხვა).

N	აქტივის ჩამონათვალი (დანადგარი, უძრავი ქონება და სხვა)	მფლობელობის ფორმა (საკუთრება, იჯარა, ქირა, თხოვება)	ადგილმდებარეობა და მდგომარეობა (მუშა მდგომარეობაში, მოძველებული, ამორტიზირებული და სხვა)
1			
2			
3			
4			

5. მონიშნეთ პანდემიის გავლენა თქვენს ბიზნეს საქმიანობაზე.

- სახელმწიფოს რეგულაციებით ან/და პირადი გადაწყვეტილებით, პანდემიის გამო, შეჩერებული მქონდა საქმიანობა. მიუთითეთ პერიოდი \_\_\_\_\_
- სახელმწიფო რეგულაციების მიზეზით, უნდა შემეჩერებინა, თუმცა, საქმიანობის გარკვეული ასპექტის ცვლილებით, ბიზნესი მოერგო რეგულაციებს და მოვახერხე საქმიანობის გაგრძელება
- არ შემიჩერებია საქმიანობა

**6. ჩამოთვალეთ ძირითადი საშუალებები, რომელის შეძენასაც ითხოვთ.**

(გაითვალისწინეთ, რომ შეგიძლიათ მოითხოვოთ მაქსიმუმ 5 ნივთის (ძირითადი საშუალება და არა სახარჯი მასალა) შეძენა. ამასთანავე, ნივთების ჯამური ღირებულება უნდა იყოს არაუმეტეს 7 500 ლარის ფარგლებში. თითო ნივთის ღირებულება არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები. თუ მოთხოვნილია, ერთიდაიმავე ნივთის ერთზე მეტი ოდენობით შეძენა, ასეთ შემთხვევაში, არ გავრცელდება რაოდენობრივი შეზღუდვა).

ნივთის დასახელება	ნივთის მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	მიუთითეთ ნივთების გამოყენების პერიოდულობა
1.					<input type="checkbox"/> გამოვიყენებ სრული დატვირთვით, სტაბილურად <input type="checkbox"/> გამოვიყენებ სეზონურად ან/და მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის
2.					<input type="checkbox"/> გამოვიყენებ სრული დატვირთვით, სტაბილურად <input type="checkbox"/> გამოვიყენებ სეზონურად ან/და მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის
3.					<input type="checkbox"/> გამოვიყენებ სრული დატვირთვით, სტაბილურად <input type="checkbox"/> გამოვიყენებ სეზონურად ან/და მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის
4.					<input type="checkbox"/> გამოვიყენებ სრული დატვირთვით, სტაბილურად <input type="checkbox"/> გამოვიყენებ სეზონურად ან/და მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის
5.					<input type="checkbox"/> გამოვიყენებ სრული დატვირთვით, სტაბილურად <input type="checkbox"/> გამოვიყენებ სეზონურად ან/და მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის
<b>ჯამური ღირებულება:</b>					

**7. აღწერეთ, როგორ გამოიყენებთ მიღებულ მხარდაჭერას და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

7.1. რაში გამოიყენებთ მიღებულ ძირითად საშუალებებს და რა გავლენას მოახდენს თქვენს ბიზნესზე? რას განახორციელებთ ისეთს, რასაც აქამდე ვერ ახორციელებდით?	
7.2. მოხდება არსებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა თუ პროდუქციის/მომსახურების ასორტიმენტის გაზრდა თუ არეალის გაფართოება?	
7.3. რამდენად მოხდება ბიზნესის გაუმჯობესება/გაფართოება და რაში გამოიხატება ეს?	

**8. დაფინანსების შემთხვევაში, თქვენი აღჭურვა მოხდება თქვენი ბიზნესისთვის საჭირო ნივთებით:**

სრულად

ნაწილობრივ, თუმცა ბიზნესის გაუმჯობესების/გაფართოებისთვის მექნება საკმარისი აქტივები. მიუთითეთ, დამატებით, რა საჭიროება გაქვთ:

---

მინიმალურად, ბიზნესის გაფართოების/გაუმჯობესებისთვის არ მექნება საკმარისი აქტივები და მჭირდება დამატებითი ინვესტიცია/ნივთები.

მიუთითეთ, რა საჭიროება გაქვთ:

---

**9. დასაქმება**

დაფინანსების შემთხვევაში, თქვენ გაქვთ ვალდებულება დაასაქმოთ მინიმუმ ერთი დევნილი ან/და ეკომიგრანტი მინიმუმ 6 თვის ვადით, შესაბამისი ანაზღაურებით. რამდენი ასეთი პირის დასაქმებას აპირებთ, რა პოზიციაზე, რა ვადით და რა იქნება მისი უფლება-მოვალეობები და სავარაუდო ანაზღაურება.

დასაქმებული დევნილის/ეკომიგრანტის პოზიცია	რა ვადით აპირებთ დაასაქმოთ (მიუთითეთ რამდენი თვე ან რამდენი წელი)	აღწერეთ, დასაქმებულ(ებ)ის უფლება-მოვალეობები	დასაქმების განაკვეთი	ანაზღაურების რაოდენობა	სქესი	დასაქმებულს აქვს თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი
			<input type="checkbox"/> სრული <input type="checkbox"/> ნახევარი <input type="checkbox"/> სეზონური		<input type="checkbox"/> ქალი <input type="checkbox"/> კაცი	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
			<input type="checkbox"/> სრული <input type="checkbox"/> ნახევარი <input type="checkbox"/> სეზონური		<input type="checkbox"/> ქალი <input type="checkbox"/> კაცი	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
			<input type="checkbox"/> სრული <input type="checkbox"/> ნახევარი <input type="checkbox"/> სეზონური		<input type="checkbox"/> ქალი <input type="checkbox"/> კაცი	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა

**10. საქმიანობის ფინანსური ნაწილი (მიუთითეთ, 1 წლის მაგალითზე რა მომსახურებას წევთ ან/და რა საქონელს ყიდით. თითოეული მომსახურების სახე მიუთითეთ ცალ-ცალკე, შესაბამისი რაოდენობითა და ღირებულებით).**

N	მომსახურების სახე ან გაყიდული პროდუქცია	პერიოდი	რაოდენობა	შემოსავალი ლარში	ჩამოთვალეთ ყველა ის ხარჯი, რაც 1 წლი მანძილზე შესაძლოა გქონდეთ საქმიანობისას და მიუთითეთ ხარჯის რაოდენობა ლარში (მაგ. კომუნალური, ფართი, ტრანსპორტირება, მუშახელი, სახარჯი მასალა და ა.შ.)
1					
2					
3					
4					

## 11. მოგება-ზარალის უწყისი

	მიუთითეთ დაფინანსებამდე 1 წლის მაგალითი	დაფინანსების შემთხვევაში, მოსალოდნელი 1 წლის მაგალითი
მთლიანი შემოსავალი წლის მანძილზე, მიუთითეთ ლარში (მე-10 გრაფაში მითითებული შემოსავლის ჯამი)		
ხარჯი წლის მანძილზე, მიუთითეთ ლარში (მე-10 გრაფაში მითითებული ხარჯების ჯამი)		
წლიური მოგება ლარში (მთლიან შემოსავალს გამოკლებული მთლიანი ხარჯი)		

**ბიზნეს გეგმის წარმოდგენა შესაძლებელია:** ელექტრონულად [info@idp.gov.ge](mailto:info@idp.gov.ge) -ზე ან სააგენტოში და სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა;
- ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
- ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. N20;
- ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;
- ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

*ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტის უფლებამოსილი პირის მიერ. ამავე დროს, უფლებამოსილი პირი უნდა იყოს პარტნიორი დევნილი ან ეკომიგრანტი. მეწარმეს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ბიზნეს გეგმა. ამავე დროს, ერთიდაიმავე ოჯახიდან შესაძლებელია მხოლოდ 1 ბიზნეს გეგმის წარმოდგენა.*

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_